N736 2014 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებაში (სსმ, 2006 წელი, მუხლი 1854) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართით განსაზღვრული ნივთიერებებისათვის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ამ დანართის C დანართით გათვალისწინებული კვოტირებული და E დანართით გათვალისწინებული ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე (გავრცელდეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).“.

2. დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის E დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„(E დანართი)

სისტემატური დასახელება	ქიმიური ფორმულა	დასახელება მონრეალის ოქმის მიხედვით (ინგლისურ ენაზე)	საიმპორტო კოდი ჰარმონიზებული სისტემით	გადაწყვეტილება
მეთილბრომიდი	CH_3Br		2903 39 11	მხოლოდ საკარანტინო და გადაზიდვის წინა

				მოხმარების მიზნებისთვის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**